პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქ.წყალტუბო

---- მარტი, 2025 წელი

,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე - 20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის №31 დადგენილებაში (სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" ვებ. გვერდი www.matsne.gov.ge. სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.122.016547 . ვებგვერდი, 01/07/2019) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. სტრატეგიულ მართვაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება;

ბ) გავლილი გადამზადება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის მიხედვით;

გ) გავლილი სასერტიფიკატო პროგრამა ადრეული და სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრირების მიმართულებით (აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება მენეჯმენტის

სპეციალობით ან განათლების ადმინისტრირების სპეციალიზაციით აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირებზე).“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე- 7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 1. საგანმანათლებლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება განათლების, ფსიქოლოგიის, სოციალური, ჰუმანიტარული ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით ან პროფესიული განათლება სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით;

ბ) გავლილი გადამზადება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის მიხედვით.“

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე- 8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 1. ფინანსებისა და მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს აკადემიური უმაღლესი განათლება ეკონომიკის ან ფინანსების დარგში ან პროფესიული განათლება ეკონომიკის ან ფინანსების დარგში.“

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე- 9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს აკადემიური უმაღლესი განათლება ან შესაბამისი პროფესიული განათლება.“

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე- 10 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 2. საგანმანათლებლო პროცესის წარმმართველ პერსონალს – აღმზრდელს აქვს აკადემიური უმაღლესი განათლება ან პროფესიული განათლება სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე.“

6. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე- 11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 1. ინკლუზიის მხარდამჭერ პერსონალს აქვს აკადემიური უმაღლესი განათლება დაკავებული პოზიციის შესაბამის დარგში ან დაკავებული პოზიციის შესაბამისი პროფესიული განათლება.“

7. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე- 11 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 2. ინკლუზიის მხარდამჭერ პერსონალს გავლილი აქვს გადამზადება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის მიხედვით.“

8. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1- ის მე- 15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რადაქციით:

,,1. კვებაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს პროფესიული განათლება დაკავებული პოზიციის შესაბამის დარგში.“

9. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1- ის მე- 16 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რადაქციით:

,,1. მატერიალური რესურსის გამართულობაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს სრული ზოგადი განათლება.“

10. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1- ის მე- 17 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რადაქციით:

,,1. მცენარეთა დაცვაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს პროფესიული განათლება დაკავებული პოზიციის შესაბამის დარგში.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოამზადა: ნ.მჟავია

შეთანხმებულია: გ. კვასტიანი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482508447**
თარიღი: **25/03/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

როგორც მოგეხსენებათ ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მიხედვით 2025 წლიდან დაიწყო საბავშვო ბაღების ავტორიზაციის პროცესი. აღნიშნული პროცესი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 3 საბავშვო ბაღში დაიწყება მაისის თვიდან. ავტორიზაციის პროცესის დაწყებამდე საჭიროა ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის N31 და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის N32 დადგენილებების შესაბამისობაში მოყვანა.

აღნიშნულიდან გამომდინარე გიგზავნით ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების მენეჯერის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების პროექტებს.

გთხოვთ განიხილოთ.

დანართი ,, 6 " ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge